ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/01

26 იანვარი, 2021 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12: 45 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 იანვარი, 2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2021 წლის 21 თებერვლის დღის 18 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2021 წლის 22 თებერვლის დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი). „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი

აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის 26 თებერვალი (შიდა დოკუმენტი: №6-04, 22.01.2021 წელი და №7-04, 25.01.2021 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №1).

2. **მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა, საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა მოთხოვნათა შესრულება, რათა ქედის მუნიციპალიტეტმა მიიღოს გრანტი 77 235 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ოდენობით, საქართველოში იაპონიის საელჩოსგან, ხოლო ამისათვის აუცილებელია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობა, ამის შემდგომ ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი შუამდგომლობით, სამართლებრივი აქტის - საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართავს საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს, რათა განხორციელდეს გრანტის მიღების თაობაზე საქართველოს მთავრობისაგან ნებართვის მიღება. გრანტის მიღების შემდეგ მხარეებს შორის დაიდება საგრანტო ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ახალი მუნიციპალური სერვისი დაბა ქედისათვის საზოგადოებრივი ეკო-ავტობუსის შეძენა, რომლითაც მოხდება დაბის ტერიტორიაზე ინკლუზიური ელექტრო მობილობის სერვისის შექმნა (შემოსული დოკუმენტი: №3/04, 22.01.2021 წელი;).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ აღნიშნა, რომ საგრანტო ხელშეკრულება საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ქედის მუნიციპალიტეტს შორის ქედის მუნიციპალიტეტისთვის საზოგადოებრივი ეკო ავტობუსის შეძენაზე ძალიან მნიშვნელოვანია და აღნიშნული გრანტის დონორისგან მისაღებად ყველა მათი მოთხოვნა რაც ხელშეკრულების პროექტით არის განსაზღვრულიაში უნდა შესრულდეს ზედმიწევნით.

შუქრი თურმანიძემ განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის შესახებ მუშაობა 2019 წლიდან მიმდინარეობს და 2020 წლის საგაზაფხულო საგრანტო კონკურსზე ქედის მუნიციპალიტეტის სახელით წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, შესაბამისად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს მუნიციპალიტეტის მერს საკრებულოდან პროექტის სრულყოფილად განხორციელებაში. ,,საგრანტო კონკურსის დედლაინი შემუშავებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მუხრან სალაძის მიერ, რომელიც აღნიშნული პროექტის განხორციელებისას ქედის მუნიციპალიტეტის მხრიდან განსაზღვრულია პროქტის მენეჯერად და საკონტაქტო პირად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო სრულ მხარდაჭერას უცხადებს ამ პროექტს და

ყველაფერს გააკეთებს რაც საჭირო იქნება მისი განოხრციელებისათვის“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე შური თურმანიძემ.

საკრებულოს წევრმა გოჩა გათენაძამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ტრანსპორტით დაბის მოსახლეობის გარდა ისარგებლებს ყველა ის მოქალაქე, ვინც დაბაში ჩამოდის სხვადასხვა სერვისების მისაღებად, რის გამოც წინადადება მოიწონა და სრული მხარდაჭერა გამოხატა.

საკრებულოს წევრმა ამირან ცინცაძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია დაბა ქედაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განხოციელება, მათ შორის ელექტრო ავტობუსი გაცილებით მისასალმებელია, რადგანაც მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება სამედიცინო სერვისის თუ სხვა მუნიციპალური მომსახურების მიღებაში ხელი შეეწყოთ გადაადგილების მხვრივ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძემ განმარტა, რომ ერთი ელექტრო ავტობუსი მიმდინარე ეტაპზე იმუშავებს სრულიად უფასოდ, თუმცა წლების შემდეგ, როდესაც მოქალაქეები არსებული სერვისის მნიშვნელობას გაითავისებენ საჭირო გახდება გარკვეული ფენებისათვის მცირეოდენი გადასახადის შემოღება, რათა გაუმჯობესდეს და მომსახურების ხარჯების ნაწილი მაინც იქნას დაფარული. ასევე მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს დამატებით კიდევ ერთი ავტობუსის შეძენაზე, მათ შორის სხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №2).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 12:45 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **შუქრი თურმანიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**